

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

(„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტზე)

1. ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა. კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონის მიღების მიზეზია ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე მშენებლობის განხორციელებისას არსებული პრობლემები.

ა.ბ. კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია მოხდეს ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვების გაცემის პროცედურის გამარტივება, რაც ხელს შეუწყობს ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე მშენებლობის განხორციელებისას არსებული პრობლემების გადაწყვეტას.

ა.გ. კანონპროექტის ძირითადი არსი

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტის თანახმად ქალაქ თბილისის მთავრობა უფლებამოსილია: საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს და ქ. თბილისის მერიის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანოს დასკვნის საფუძველზე საქართველოს მთავრობას წარუდგინოს წინადადებები ობიექტისათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების, ან მოხსნის თაობაზე;

ბ. კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა. კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება დაკავშირებული არ არის საბიუჯეტო სახსრების ხარჯვასთან.

ბ.ბ. კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ. კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ. სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

სახელმწიფოს რაიმე, ახალი ფინანსური ვალდებულება არ უჩნდება.

ბ.ე. კანონპროექტით მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

პირებს, რომლებზედაც გავრცელდება კანონის მოქმედება არ წარმოეშობათ რაიმე სახის ფინანსური ვალდებულება.

ბ.გ. კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი

რაიმე სახის გადასახადი, მოსაკრებელი ან გადასახდელი არ დგინდება.

გ. კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა. კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტის შინაარსი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ. კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ. კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია, დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს შემუშავებაში

კანონპროექტის შემუშავებაში ამ პუნქტით გათვალისწინებულ ორგანიზაცია/დაწესებულებებს და ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაცია-დაწესებულების ან/და ექსპერტების შეფასება

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის წევრი - არჩილ გეგენავა

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის წევრი - არჩილ გეგენავა